დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მირანდა იაკობიძე

წევრები:

ნინო გოგსაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ხათუნა გეგეშიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია კიპაროიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230868031

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თეთრიწყარო
იურიდიული მისამართი	თეთრიწყაროს მუმიციპალიტეტი, სოფელი ჯვარა
ფაქტობრივი მისამართი	თეთრიწყაროს მუმიციპალიტეტი, სოფელი ჯვარა
საფოსტო ინდექსი	2300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	jvara@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591058594

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 23 0000983646 10.08.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 28-29 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ქართული	სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ჯვარა

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	ქართული	სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ი ჯვარა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 10/08/2023 ბრძანება MES 6 23 0000983646 შექმნილმა სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით შეისწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაცია და თანდართული დოკუმენტაცია. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტამდე დამატებით მოითხოვა სკოლიდან დოკუმენტაცია. 2023 წლის 28-29 სექტემბერს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სკოლაში, წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. სკოლაში იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი: ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. საგნობრივი ექსპერტები კი დისტანციურ რეჟიმში ერთვებოდნენ პროცესში. ვიზიტის ფარგლებში მოხდა გასაუბრება დირექციასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, ყველა საგნობრივ კათედრასთან, ვიზუალურად დათვალიერდა სკოლის შენობა და ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კომფორტულ და თანამშრომლობით გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აცნობიერებს არაფორმალური განათლების მნიშვნელობასა და როლს მოსწავლეთა განვითარების , სხვადასხვა საჭირო უნარისა და თვალსაწიერის გაფართოების მიმართულებით. ცდილობს, განუვითაროს ისეთი უნარები, როგორიცაა: კომუნიკაციის, გუნდურობის, შემოქმედებითად აზროვნების უნარი .
ამ მიმართულებით სკოლა აქტიურად უწევს პოპულარიზაციას არაფორმალურ განათლებას, ერთვება სხვადასხვა აქტივობაში და თავადაც გეგმავს ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია და მხოლოდ 9 მოსწავლე სწავლობს, განხორციელებული აქვთ არა ერთი კლასგარეშე აქტივობა და ღონისძება, რომელიც დადასტურებულია ფოტო-მასალიტა და ETALONI.GE ზე განტავსებული სტატიებით.
აღსანიშნავია, რომ კოლექტივის წევრებს გაცნობიერებული აქვთ გუნდური მუშაობის მნიშვნელობა, დაწესებულებაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებს პედაგოგთა რამდენიმე თაობის ერთიან მუშაობას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 60	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი: ***N 3.1.2.3***	*პერსონლაის შერჩევის პოლიტიკა და პროედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურობისა და გამჭირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ 2020 წლის შემდეგ აყვანილ კადრების პირად საქმეში შეიტანოს 2020 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ „3“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცნობები (20.12.2023)*
ინდიკატორი ***3.2.1.1***	*სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენ მექანიზმი*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს ადმინისტრაციულ პერსონალის საჭიროებათა დადგენის მექანიზმი (30.11.2023)*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებ სიტუაციებში რეაგირებას და პირველად დახმარების აღმოჩენას*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყო უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმ

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		შემუშავება,აგრეთვე მოიპოვოს დასკვნა შეობა-ნაგებობ მდგრადობის შესახებ (30.05.2024)
3.4.1.7	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესებ უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგე იყენებს აღნიშნული მექანიზმებ გაუმჯობესებისთვის*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაამტკიცოს მრჩეველთა საბჭო აგრეთვე, სხვა რაიმე მექანიზმი ადამიანებისა და პროცესებ უსაფრთხოების შესაფასებლად. (30.11.2023)* *(30.11.2023)*
3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალუ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზრვრული რაოდენობ გათვალისწინებით*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოიპოვოს შენობის ფლობ დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოამზადოს საჯარო რეესტრ ამონაწერი(28.04.2024)*
3.6.3.4	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებ და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხ საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამოიყენოს სკოლის ვებ-გვერ მიზნობრივად (15.12.2023)*
3.6.3.5	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვებ გვერდზე განათავსოს ინფორმაც ქართულ ენაზე (15.12.2023)*

	ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	
	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვებ გვერდზე განათავსოს : მისიაავსოს :ნდაცია, ვებ გვებ გვერდზე გ იროგრამვსოს :ნდაცია, ვ გვებ გვერდზე გებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელ კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებ მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმებ ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული (სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტ ინფორმაცია. (15.12.2023)*
3.7.1.1	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაამტკიცოს საპროგნოზო ბიუჯეტი (07.12.2023)*
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს და დაამტკიცოს მოსწავლ ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებ და შეწყვეტის მარეგულირებელი დოკუმენტი ან შინაგანაწეს გაწეროს დეტალურად(20.11.2023)*

	შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმებ	

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლამ შეიმუშავოს მისიის დოკუმენტი, რომელიც იქნება უფრო რეალისტური და მორგებული არსებულ სურათს.*
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.2.4	**პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას**	*სკოლამ ვაკანსიის განთავსებისას აღწეროს დეტალურად პოზიციისთვის შესაბამისი მოთხოვნები და მოვალეობები .*
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკუ რიუსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	***სკოლამ გააფორმოს ხელშეკრულება სერტიფიცირებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან*** *სახანძრო-ტექნიკური შემოწმების 01/05/2023*

		აქტის შესაბამისად, შეასრულოს გაცემული რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დასაცავად.
3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები	***სკოლამ შეიძინოს საბუნებისმეტყველო საგნებისთვის საჭირო მასალები, რომ შეძლოს საკლასო ოთახში ან ღია სივრცეში ცდების განხორციელება უსაფრთხოების წესების დაცვით.***
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 4.1.1.1	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა გარანტიების უზრუნველყოფა*	*სკოლამ შეიმუშაოს საჩივრის დაწერის წესი და გასაჩივრების დეტალური პროცედურები.*
ინდიკატორი 4.2.1.6	*მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთ უკუკავშირის საფუძველზე სკოლა ამჯობესე მოსწავლეთა მომსახურებას*	*სკოლამ შეიმუშაოს შეფასების კითხვარი სასკოლო საზოგადოებისთვის და შემდეგ გაითვალისწინოს მიღებული შედეგები*
4.2.2.1	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიულ ორიენტაციის პროგრამა ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის*	*სკოლამ გამართოს აქტივობები, შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, მოაწყონ ღია კარის დღეები, უზრუნველყონღია კარის დღეები შეხვედრებ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთაალისწინოს მიღებული შედეგებიუმენტინველყოფაბელი დოკუმენტი, სასწავლო პროცესთან დაკა*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	წინასწარ განათავსონ შეფასების რუბრიკა თვალსაჩინო ადგილზე საკლასო ოთახში, რათა მოსწავლემ შეძლოს ორიენტირება შეფასების კრიტერიუმებზე დავალების შესრულების პროცესში.
2.2.1.4	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);	სკოლამ ვირტუალურ ლაბორატორიასთან ერთად უზრუნველყოს მარტივი ცდების განხორციელება საკლასო სივრცესა და ეზოში.
2.2.2.2.	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყონ ლაბორატორიისთვის საჭირო მასალებითა და ინვენტარით აღჭურვა და გამრავალფეროვნება
2.2.3.2	სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;	პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების მიხედვით შეადგინონ და დახვეწონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
2.2.3.3	სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;	პროცესი რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი

		არაფორმალური განათლების ტიპის აქტივობის გათვალისწინება.
2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;	2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაონ დაწყებითი და საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც დახარვეზებული ინდიკატორების მიხედვით გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის ქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მიმართულია განათლებული, ლიბერალური, საზოგადოებრივად აქტიური, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოქალაქის აღზრდისკენ. სკოლა აღნიშვანს, რომ თითოეული ბავშვი უნიკალურია და უნდა მიეცეს შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. სკოლა პრიორიტეტულად მიიჩნევს , რომ მოზარდს მისცეს მყარი ცოდნა და ხელი შეუწყოს მის ადაპტაციას სასკოლო გარემოში. სასწავლო პროცესი ეფუძნება დირექციის, პედაგოგებისა და მშობლების ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს. ვინაიდან სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ შეიმუშაოს მისიის ამსახველი დოკუმენტი, სადაც ნათლად გამოჩნდება დაწესებულების რეალისტური, მკაფიო მისია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაშიც აქვს მითითებული და ვიზიტის დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლის საზოგადოების პრიორიტეტებისა და გამოწვევებიდან გამომდინარე, იგი უზრუნველყოფს უსაფრთხო, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ სასკოლო გარემოს შექმნას, რაც მოიაზრებს როგორც ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს შექმნას, ასევე დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 9 უსაფრთხოების კამერა, შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას არ ჰყავს მანდატური. არჩეულია დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, კომფორტული ფიზიკური გარემო. სკოლა სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს შესაბამისი პროცედურების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლაში ვიზიტისას გაირკვა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწიელობა არ მიუღია სასკოლო საზოგადოებას, გარდა პედაგოგებისა. თუმცა, შექმნილი დოკუმენტი გაუზიარეს მშობლებს და გააცნეს იგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და შესაბამისად, ის დამტიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. ასევე, ვიზიტისას მოწოდებული ინფორმაციით, დაინტერესებული მხარის ჩართულობის გაზრდის მიზნით კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებზე მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლის ფილოსოფიას; ძირითადად ეს ხორციელდება ზეპირი კომუნიკაციით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი,

სკოლამ დამტკიცებული მისიის, ხედვისა და ღრებულების დოკუმენტი გააცნო სასკოლო საზოგადოებას, იმსჯელეს მის შესახებ და მოისმინეს მათი უკუკავშირი. აგრეთვე, მათ სკოლაში მოიწვიეს მშობლები და გააცვნეს დოკუმენტის შინაარსი. სკოლა გეგმავს მისიის, ხედვისა და ღირებულების დოკუმენტის განთავსებას ვებ გვერდზე, როდესაც ვებ გვერდი ექნებათ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებიდან N448 (15/09/2005) - "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №97/ნ (2016 წლის 16 აგვისტო) მიხედვით, ეწოდება ,,სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლა“.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
3. სკოლის მისიის,ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;** მეთოდოლოგიის მთავარ ორიენტირად განსაზღვრული ჰქონდათ მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა. მოიაზრებდა სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული პირებისგან, მშობლებისგან, მოსწავლეებისგან, მასწავლებლებისგან ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს, სვოტ ანალიზის შედგენასა და უკუკავშირს. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე (6 სექტემბერს) წარუდგინა პედაგოგიურ საბჭოს. აღნიშნულ გეგმაში თავმოყრილია სკოლის მიერ გადასადგმელი ნაბიჯები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი,ის შეესაბამებოდა სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. შვიდწლიან სტარატეგიულ გეგმაში ჩანს სამომავლო პერსპექტივაში დანახული განვითარების მიმართულება, გაწერილია თუ რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავს სკოლა, ასევე, გაწერილია ხედვიდან გამომდინარე საჭირო ამოცანების სია, კონკრეტული ქმედებები, რომლებიც უნდა შეასრულოს სკოლამ გეგმაში მოცემული ამოცანების რეალიზებისთვის. მნიშვნელოვანია მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში. სტრატეგიული გეგმის შინაარსი არის რეალური და მიღწევადი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.**

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ერთი წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოები და აქტივობები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი), რომელიც ასახავს სტრატეგიული ინიციატივებისა და აქტივობების შესასრულებლად საჭირო ამოცანებს. განვითარების გეგმა იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს ერთი წლის განმავლობაში, ერთმანეთთან აკავშირებს მოცემული წლის პრიორიტეტულ საკითხებს. პრიორიტეტული საკითხი გეგმაში არის 5,

- ⇒ *სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;*
- ⇒ *სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება;*
- ⇒ *მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;*
- ⇒ *უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;*
- ⇒ *მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.*

ყოველ პრიორიტეტულ საკითხს თან ახლავს აქტივობებისა და ამ აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა ნუსხა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება წლის განმავლობაში სკოლის განვითარება. გეგმის აღსრულებაზე ზოგადი ზედამხედველობა დირექტორს ევალება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 7-წლიან სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც აქვს მითითებული და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის მნიშვნელოვან ეტაპად მიაჩნიათ სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება, რომლის შედეგები იძლევა საქმიანობის გაუმჯობესების საშუალებას. მონიტორინგი საქმიანობას ახორციელებს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA) ციკლის შესაბამისად.

განსაზღვრული აქვთ, რომ მონიტორინგსა და შეფასებას ყოველწლიურად განახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი. დაგეგმილი აქვთ, რომ წელიწადში ორჯერ, სემესტრის ბოლოს, მონიტორინგის ჯგუფს წარუდგენენ ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესახებ, შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

ინდიკატორი არ ფასდება პირველადი ავტორიზაციის დროს

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობასთან დაკავშირებით სკოლას რაიმე დოკუმენტი არ წარმოუდგენია, თუმცა აღნიშნავს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებს მონიტორინგის ჯგუფი შეაჯამებს და გაიტანს მას პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომებსა და მშობელთა კრებებზე, ასევე, წარმოადგენს სკოლის წლიურ ანგარიშში. თითოეული ეს რგოლი მოახდენს შესაბამის შეფასებას შემაჯამებელ სხდომებზე და სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმას გახდის საჯაროს, განათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფასა და სოციალურ გვერდზე. ასევე, დირექტორი სხვა საკითხებთან ერთად ყოველი წლის 10 დეკემბრის ანგარიშში წარუდგენს მას სამეურვეო საბჭოს.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის დროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;** სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და დისციპლინალურ კომიტეტს, ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის წესდებაში. სკოლა სარგებლობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდებით, რომელშიც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები, ასევე თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები სამუშაო აღწერილობებით გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.** სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. თითოეულ

თანამშრომელთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება, სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ფუნქციონირებას. სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები. ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელსაც ხელძღვანელობს პედსაბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ასევე შესაბამისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა. სტრუქტურული ერთეულები თანამშრომლობენ კოორდინირებულად, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შრომითი ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა სამართლიანობა და გამჭვირვალობა; თანასწორობა, ნების თავისუფალი გამოვლენა; ურთიერთპატივისცემა და ურთიერთმხარდაჭერა; ეფექტური კომუნიკაცია; პასუხისმგებლობა, პერსონალის ინტერესების გათვალისწინება; პროფესიული განვითარება; გადაწყვეტილებათა მიღებაში ჩართულობა სხვადასხვა ფორმით; გადაწყვეტილებათა ღიაობა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; სკოლაში პერსონალის მართვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, რაც ითვალისწინებს მასწავლებელთა განვითარების ხელშეწყობას. შრომით ხელშეკრულებებში გაწერილია დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები. აღწერილია დასაქმებულის სამუშაო პირობები, სამუშაო დროის ხანგრძლივობა და შვებულებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლის ინტერესებშია საკუთარ თანამშრომლებს შეუქმნას მიმზიდველი სამუშაო გარემო და შესაძლებლობები, რომ განაგრძონ პროფესიული განვითარება. ადამიანური რესურსების დროული ანალიზი საშუალებას აძლევს რომელიმე დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში უზრუნველვყონ მისი ფუნქციების დელეგირება, ისე, რომ არ დაზარალდეს სასწავლო პროცესი. თანამშრომლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად და კეთილსინდისიერი შესრულებისთვის სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული აქვთ სხვადასხვა წახალისების ფორმები, ასევე შინაგანაწესით განსაზღვრული აქვთ შინაგანაწესის ან სხვა შიდა წესის დარღვევის შემთხვევაში თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში., ჯგუფის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს დასაქმებული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას, კარიერულ ზრდას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლას კარგად აქვს გააზრებული, რომ ხარისხიანი ზოგადი განათლება პირდაპირ კავშირშია პერსონალის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმთან. სკოლის წარმატების ერთ-ერთი პირობაა, მისი პერსონალის კვალიფიკაცია, ამიტომ სკოლისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება. სკოლა იცავს კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებს, ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებით, სკოლა აცხადებს შიდა ან გარე ვაკანსიას საჭიროების მიხედვით, რომელიც თავსდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვებ გვერდზე https://teacherjobs.ge/, იქმნება საკონკურსო კომისია, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს გამჭირვალობის, ობიექტურობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვით შეარჩია ერთი მასწავლებელი და გასულ წელს-სკოლის ექთანი. ახალდმიღებული მასწავლებლის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი ნასამართლეობის შესახებ ცნობა, აგრეთვე, არ არის წარმოდგენილი ცნობა, რომლებიც მთავრობის დადგენილებით არის განსაღვრული (2020 წლის 23 ივლისი საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაწესებულებები ვალდებული არიან, პირს დაწესებულებაში დასაქმებამდე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, მოსთხოვონ სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა).

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ 2020 წლის შემდეგ აყვანილი კადრების პირად საქმეში შეიტანოს 2020 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცნობები (20.12.2023)

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა პირადი საქმეებიდან ჩანს, რომ არსებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადმინისტრაციულ/დამხმარე თანამდებობაზე პირი მიიღება დანიშვნით, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი და პირობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას მასწავლებელთა კონტიგენტში ჰყავს მხოლოდ უფროსი მასწავლებლები. კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, წინასწარ განისაზღვრება კანდიდატისთვის აუცილებელი მოთხოვნები, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ინფორმაცია საკვალიფიკაციო მოხოვნების შესაბამისად. სკოლას ვაკანისების საიტზე განთავსებული ჰქონდა

მასწავლებლის ვაკანსია, სადაც მოთხოვნები და მოვალეობები არ იყო დაკონკრეტებული. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ვაკანსიის განთავსებისას განსაზღვროს დეტალურად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოს აღწერილობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლის მიზანს წარმოადგენს თანამშრომლებს შორის გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ამაღლება. ამ მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლისათვის განვითარების ხელმისაწვდომობას და თანაბარ პირობებს. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების ინიცირება ხდება მათი უშუალო ჩართულობით. კათედრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მუშაობა ეფუძვნება გუნდური მუშაობის პრინციპებს, დასტურად სკოლას აქვს რამდენიმე კარგი პროექტი განხორციერებული, ასევე ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს რომელთა ამსახველი მასალა გამოფენილია სკოლაში და არსებობს სტატიების სახითაც etaloni.ge- ზე. ვიზიტის დროს თვალსაჩინოს ჩანდა მშვიდი, სასიამოვნო და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ძირითადი მიზანია მისი როგორც მიღწევების ისე, წარუმატებლობების ან სხვა სირთულეების გამოვლენა, რათა გამოვლინდეს შემდგომში პროფესიული განვითარების საჭიროებები. სკოლას კარგად აქვს გააზრებული, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის გაზრდას. სკოლის შიგნით საქმიანობის გაზიარება ხდება სემესტრის და წლის ბოლოს, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, სკოლის ხელმძღვანელობისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ. მასწავლებელთა შორის გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და შეფასება სკოლაში აპრობირებულია, წარმატებული გამოცდილების გაზიარებისთვის ასევე იყენებენ სოციალურ ქსელს. წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება ძირითადად კოლეგებს შორის მიმდინარეობს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. მასწავლებლის მიღებისა და ადაპტაციის წესი

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

3. შინაგანაწესი

4. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძნება

5. სკოლის ვაკანსიების პაკეტის ბრძანებები

6. შრომითი ხელშეკრულებები

7. პირადი საქმეები

8. კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები. სკოლაში დანერგილი აქვთ კრიტიკული მეგობრის სისტემა რომლის საშუალებითაც ხდება პერსონალის საჭიროებათა იდენტიფიცირება. სკოლაში არის კეთილგანწყობილი გარემო თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. სკოლის პედაგოგები ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში. პერსონალის შეფასების შემდეგ მნიშვნელოვანია შეჯამდეს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და დაიგეგმოს მისი განვითარება სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით: ტრენინგი, ქოუჩინგი, პროექტები. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაცული პერსონალის შეფასება არ ხდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის მიერ ან რაიმე სხვა საშუალებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებათა დადგენის მექანიზმი (30.11.2023)

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; სკოლის პერსონალის საჭიროებების გამოვლენის შემდეგ ხდება ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი რის შედეგადაც იკვეთება პრიორიტეტული თემები და საკითხები, რის საფუძველზეც ხორციელდება განვითარება ამ მიმართულებით. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო შემდეგი აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, მასწავლებელთა გადამზადება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; სკოლის მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა საგნობრივ ტრენინგებს, კონფერენციებს, შეხვედრებს, აქვთ ურთიერთდასწრება, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლის ხელმძღვანელობა და თითოეული თანამშრომელი ცდილობს, რომ სკოლაში არსებობდეს გახსნილი, კეთილგანწყობილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემო და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების ერთ-ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ხელშეწყობა, რაც დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. ახალ თანამშრომელს ეძლევა საშუალება დაესწროს კათედრების სხდომებს, კოლეგები უზიარებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. აცნობენ სკოლის განლაგებას. სკოლაში მოქმედებს მასწავლებლის მიღებისა და ადაპტაციის წესი , რომლის მიხედვითაც ეხმარებიან სკოლაში დამკვიდრებული წესების, ტრადიციების, კულტურის გაცნობაში. საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა კოლეგებს, რომლებასაც უჩნდებათ სკოლის გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.** სკოლის ხელმძღვანელობა ცდილობს სათანადოდ შეაფასოს მასწავლებლის წარმატებები და წაახალისოს განვითარებათსან დაკავშირებული ინიციატივები. წახალისების ფორმები გაწერილი აქვთ სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შექმნის ბრძანება
- შინაგანაწესი;
- მასწავლებლის მიღებისა და ადაპტაციის წესი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2022-2023
- მასწავლებელთა და სხვა პერსონალის ტრენინგებზე დასრების დამადასტურებელი სერტიფიკატები

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად; სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად; სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის მიზანია თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პიროვნების აღზრდა. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე საქმიანობას. იგულისხმება სხვადასხვა ღონისძიება არაფორმალური განათლების მიმართულებით:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;** მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები დაფუძნებულია სკოლის მიერ წინასწარ შემუშავებული სამიზნე ნიშნულების მიღწევასა და განხორციელებაზე, მიმართულია უზრუნველყოს სკოლის მისიის შესრულება. გაწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტში, სკოლის შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში. სამიზნე ნიშნულები თითოეული ინდიკატორებისთვის, მისაღწევი პერიოდის მიხედვით მითითებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში. გარდა შესრულების ინდიკატორებისა, სკოლაში შემუშავებულია ანგარიშგების პერიოდული პროცედურა, რაც ასევე მმართველობითი პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ემსახურება. კერძოდ, დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დამაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;** სკოლა თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს აძლევს გასაჩივრების უფლებას ცალკეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. სკოლაში საჩივრების ეფექტიანად და მიუკერძოებლად განხილვის მიზნით შემნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლეთა თვითშართველობის წარმომადგენელი. სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებსა და მოსწავლეებს კრებებზე, სხვა საკითხებთან ერთად, მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შესასრულებელი რეგულაციების, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა, თითოეული მათგანისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელი, ასევე გასაჩვრიბასთან დაკავშირებული წარმოების წესი და პროცედურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.** სკოლაში დასაქმებულთა უფლებები რეგულირდება მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სასკოლო საზოგადოების უფლება-მოვალეობები. რაც კიდევ უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, კანონიერი უფლებების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, შეხვედრები მშობლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;** მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება მშობელთა კრებებსა და მშობლებთან დირექციის შეხვედრებზე, მშობლებთან პერიოდული გასაუბრებით. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აცნობენ სკოლის შინაგანაწეს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, შერჩეულ სახელმძღვანელოებს. მშობლებიდან იღებენ უკუკავშირს, აქვთ სოციალური ქსელში სასაუბრო სივრცე, სადაც პერიოდულად უზიარებენ სიახლეებს მშობლებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. კანონმდებლობის შესაბამისად , პროცედურების დაცვით გამჭვირვალედ და ობიექტურად ტარდება სამეურვეო საბჭოს არჩევნები სამ წელიწადში ერთხელ. სამეურვეო საბჭოში საფეხურების მიხედვით წარმოდგენილი მშობლები უშუალოდ მონაწილეობენ სკოლის მართვის პროცესებში და ინფორმაციას უზიარებენ დანარჩენ სასკოლო საზოგადოების წევრებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედსაბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ბრძანება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;** სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების დაცვაზე. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში დამონტაჟებულია 7 ცალი გარე მოხმარების და შიდა მოხმარების 1 ცალი ვიდეოსათვალთვალო კამერერა. სკოლაში ასევე წესრიგს იცავენ მორიგე მასწავლებლები. ჰყავს 24 საათის განმავლობაში დარაჯი. აქვთ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები. სკოლას ემსახურება 1 ექთანი. სკოლამ ვაკანსია გამოაცხადა ექიმის თანამდებობაზე, 2022 წლის 13 ოქტომბერს, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის არარსებობის გამო, არჩევანი შეაჩერა ექთნის კანდიდატურაზე.

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო მომსახურების ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით, სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით სკოლამ წარმოადგინა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია, რომ უნდა შეკეთდეს სახანძრო სიგნალიზაცია. შემოწმება განხორციელდა 2023 წლის პირველ მაისს. სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან მიწერილი წერილი, სადაც ითხოვს შეისწავლონ სკოლის ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა და შესაბამისად, განისაზღვროს მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოება. სკოლას თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვთ საევაკუაციო გეგმა, აღსანიშნავია რომ დირექცია მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას ფიზიკური უსაფრთხოება, განსაზღვრული ჰყავთ ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ <u>ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.</u>

ამ ინდიკატორთან მიმართებაში გამოიკვეთა ხარვეზი, რომ სკოლას არ აქვს სკოლის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.აგრეთვე, სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას მიეცა რჩევა, რომ გააფორმოს ხელშეკრულება სერტიფიცირებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ან ამ მიმართულებით გადაამზადოს შესაბამისი კადრი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება,აგრეთვე მოიპოვოს დასკვნა შეობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ (30.05.2024)
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
სკოლას არ ჰყავს მანდატური,აღსანიშნავია რომ დირექცია მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას ფიზიკური უსაფრთხოება, განსაზღვრული ჰყავთ ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც შესაბამისი ფიზიკური შესაძლებლობისა და უნარების მქონეა. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას წესრიგს იცავენ მორიგე მასწავლებლები. ასევე სკოლას იცავს 24 საათის განმავლობაში სკოლის დარაჯი. კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილება, ფუნქციონირებს ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. კლასის ხელმძღვანელები თავიანთ სადამრიგებლო კლასებში კლასის საათზე ატარებენ საუბრებს პრობლემებსა და გამოწვევებზე. მასწავლებლები გამოხატავენ მოსწავლეთა მიმართ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერას. ბავშთა მიმართ ძალადობის ფაქტები სკოლაში არ დაფიქსირებულა მოსწავლეების პრობლემების გასარკვევად და მოსწავლეთა არასასურველი ქცევის გამომწვევი მიზეზების დასადგენად ხორციელდება მოსწავლეთა ქცევებზე დაკვირვება, როგორც საგაკვეთილო პროცესში ასევე სკოლის ეზოში. სკოლის ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი ეზო, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას. მშობლები შეთანხმებისამებრ მუდვიმავად აწვდიან ინფორმაციას დამრიგებელს მოსწავლეთა სკოლის გაცდენის მიზეზებზე. იმართება ბულინგის საწინააღმდეგო, პრევენციული ღონისძიებები, როგორც სადამრიგებლო საათზე ისე საგაკვეთილო პროცესში. ბულინგთან დაკავშირებულ ღონისძიებას ესწრებიან მშობლებიც.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. მოწესრიგებულია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი. სისტემატიურად ასუფთავებენ სკოლის გარე და შიდა სველ წერტილებს სადეზინფექციო ხსნარებით. სკოლაში სველი წერტილები გენდერულადაა, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირებისათვის, სველი წერტილი მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, ურნებით. ასევე გაკვეთილების დასრულების შემდგომ სკოლა მუშავდება სველი წესით სადაც გამოყენებულია სადეზინფექციო სითხეები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; საქმისწარმოების წესები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის,დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისთვის მოსამზადებლად. ეს წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას. დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მშობლებს შვილის წარმატებებს. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად სკოლა ახორციელებს ამ მონაცემების დაცვას სპეციალურ გამოყოფილ სივრცეში. განსაზღრულია მასზედ ხელმისაწვდომი პირები. თუ საჭიროება მოითხოვს მოსწავლეთა ფოტოების გამოქვეყნებას, სკოლას მშობლებიდან მიღებული აქვს თანხმობა. მოსწავლის პირადი მონაცემებისა და აკადემიური მოსწრების კონფედენციალურობის დაცვა განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა: ელექტრონული ჟურნალი, სადაც ასევე გარანტირებულია მოსწავლის მონაცემების დაცვა და Teams-ის პლატფორმა, სადაც სრულად დაცულია მოსწავლის პერსონალური მონაცემები ელექტრონულ პროგრამაში (Teams).

მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლას იცავს მის ხელთ არსებულ მონაცემებს შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან. სამუშაო კომპიუტერი დაცულია პაროლითა და შესაბამისი ანტივირუსული პროგრამებით, რომ არ მოხდეს უკანონოდ კომპიუტერში შეღწევა და პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლას მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტი წარმაოდგინა შესაბამისობის გეგმასთან ერთად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
- გარეშე პირთა შემოსვლის აღრიცხვა
- სკოლის შინაგანაწესი
- დეტალური სახანძრო- ტექნიკური შემოწმების დოკუმენტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;** სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარას საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ ჯვარაში, შენობა სრულადაა რეაბილიტირებული და აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო ცხოვრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აქვთ სტანდარტით გათვალისწინებული პანდუსი. მოსწავლეთა რაოდენობა არის 9, მასწავლებელთა რაოდენობა - 11. სკოლას აქვს სამედიცინო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია ახალი ინვენტარითა და ავეჯით; ხელოვნურსაფარიანი გარე სპორტული მოედანი; სასადილო. სკოლას არ აქვს ცალკე ბიბლიოთეკის ფართი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერების ოთახი გაერთიანებულია ერთ სივრცეში, სკოლას არ აქვს აგრეთვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლა უზრუნველყოფილია გათბობითა და წყალმომარაგებით. სკოლის შენობა ახალი აშენებულია, ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი.

   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოიპოვოს შენობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (28.04.2024)

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. კომპიუტერება და პროექტორს მოიხმარს ყველა მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს, სამასწავლებლო შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული/ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონელით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი. სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკარის შტატი, მაგრამ ჰყავს გამოყოფილი პედაგოგი, რომელიც ზედამხედველობას უწევს წიგნების გაცემა-აღრიცხვას. არ აქვს კატალოგი, აღრიცხვას აწარმოებს რვეულში, აგრეთვე, არ აქვთ წიგნების ელექტრონული აღრიცხვის ბაზაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ სკოლა არის სთანადო ინვენტარით აღჭურვილი. პანდუსი, სველი წერტილები შექმნილია თანაბარი ხელმისაწვდომი და კომფორტული გარემო. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით, რაც თანაბარ ხელმისაწვდომობას და ჩართულობას განაპირობებს. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სკოლას აქვს რეკრააციული ზონა,მათ სატყეო სამსახურმა საჩუქრად გადასცა ნერგები, რომლებიც მოსწავლეების მონაწილეობით განაშენიანდა. სკოლის შიდა ეზო საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პრაქტიკაში აითვისონ/განივითარონ სოციალური უნარები, სპორტის გაკვეთილების გარდა ღია სტადიონზე ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა). სკოლა იწყებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას, შესაბამისად, იყენებს საჭირო რესურსს, კომპიუტერებს , კლასგარეშე და გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, თვალსაჩინოებებს. სწავლების პროცესში მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა ტიპის გრაფიკულ მაორგანიზებლებს და სქემებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მაგრამ სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო და საჭირო რაოდენობის კომპიუტერითა და პროექტორით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს გაკვეთილები ჩაატარონ თემაზე მორგებული ელექტრონული რესურსების გამოყენებით.მასწავლებლების მიერ გადმოგზავნილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ბმულები, სადაც ლაბორატორიული ცდებია აღწერილი. კერძოდ, ისინი იიყენებენ ვირტუალორ ლაბორატორიებს :

მაგ. როგორ გავზომოთ სიჩქარე მობილური ტელეფონით. https://el.ge/articles/project_tasks/articles/task/535969?class=VII; ჰუკის კანონი
https://phet.colorado.edu/sims/html/hookes-law/latest/hookes-law_all.html?locale=ka,
მოდელის დამზადება: https://www.youtube.com/watch?v=Qmg94EpmzCY

ენერგია სკეიტერების პარკში**https://phet.colorado.edu/ka/simulations/energy-skate-park-basics**
აგრეგატული მდგომარეობები https://phet.colorado.edu/sims/html/states-of-matter-basics/latest/states-of-matter-basics_all.html?locale=ka
სიმულაცია გრავიტაციი ლაბორატორია
https://phet.colorado.edu/sims/html/gravity-force-lab-basics/latest/gravity-force-lab-basics_all.html?locale=ka

ბიოლოგიური სიმულაცია https://bit.ly371Pbny
მჟავა წვიმები - YouTube
https://www.actualidadviajes.com/ka/el-coloso-de-rodas/
http://chemistry.ge/publication/chemnews/view.php?id=231
https://makemone.ru/ka/tools-and-materials/ispolzovanie-polimerov-v-bytu-vidy-polimernyh-materialov.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მშენებლობის პროექტი

- მიღება ჩაბარების აქტები ინვენტარზე
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი
- წიგნების აღრიცხვის მატერიალური დოკუმენტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ახორციელებს სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლის საზოგადოება იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. სკოლას აქვს პორტატული და პერსონალური კომპიუტერები, ასევე პროექტორები, პრინტერი, რომელსაც სკოლის თანამშრომლები მოიხმარენ სასწავლო პროცესისთვის. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ

ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ საგაკვეთილო პროცესის დროს. მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები და პროექტორები, სკოლა აღჭურვილია ცენტრალური WiFi სიტემით, წარმოდგენილი კურიკულუმებიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ციფრულ რესურსებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები)

- სკოლის შინაგანაწესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;** სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის,დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისთვის. აღნიშნული წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოება მიმდინარეობს საქმისმწარმოებლის მიერ, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. საქმისმწარმოებლის მოვალეობები გაწერილია სკოლასა და საქმისმწარმოებელს

შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ელექტრონული საქმისწარმოებისათვის კორესპოდენცია მუშავდება და ტარდება ელექტრონულ eflow სისტემაში. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა სკოლას აქვს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow.emis.ge. Email@mes.gov.ge, ასევე Escool.emis.ge, Microsoft Teams. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool სისტემის მეშვეობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში escool.emis ge კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში ასახავს ინფორმაციებს ბაზის განახლების შესახებ - მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა შესახებ, მოსწავლეთა მობილობას, ექსტერნატის შედეგებს, სახელმძღვანელოების არჩევას, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებას, პირველკლასელთა რეგისტრაციას, კურსდამთავრებულთა ამორიცხვას, საშტატო განრიგის დამტკიცებას, გაკვეთილების ცხრილის ასახვას, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების, სასკოლო საათობრივი ბადის ასახვას, და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.** სკოლა რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ მარეგულირებელ უწყებებს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, მასწავლებლის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უგზავნის ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერმინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. ასევე, დადგენილ ვადაში არეგისტრირებს შესყიდვების გეგმას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- ანგარიშები პარლამენტს მაცნეს
- დირექტორის ანგარიში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლას არ აქვს ვებ გვერდი

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამოიყენოს სკოლის ვებ-გვერდი მიზნობრივად (15.12.2023

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

. სკოლა ატარებს საინფორმაციო ღონისძიებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, რის ფარგლებშიც მშობელი ეცნობა თავისი შვილის პროგრესსა და წარმატება/წარუმატებლობას. მაგ.სხვადასხვა ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა ითვალისწინებს მშობელთა კრებებზე, ფეისბუქ გვერდზე მიღებულ უკუკავშირს. სკოლაში აქტიურად ტარდება ღონისძიებები, რომელსაც მუდმივად ესწრებიან მშობლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას არ აქვს ვებ გვერდი

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვებ გვერდზე განათავსოს ინფორმაცია ქართულ ენაზე (15.12.2023)

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლას არ აქვს ვებ გვერდი

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვებ გვერდზე განათავსოს :

მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. (15.12.2023)

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *არაფორმალური განათლების ამსახველი დოკუმენტაცია*
- *სტატიები ეტალონში*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;** სკოლა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს დაფინანსებას. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ხმარდება შრომის ანაზღაურებას. სკოლის შეუფერხებელი საქმიანობისთვის საჭირო საოფისე ნივთების შეძენას, კომუნალურ გადასახადებს. შესყიდვების გეგმის შედგენა ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. სკოლას არ აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი .

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაამტკიცოს საპროგნოზო ბიუჯეტი
(07.12.2023)

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

დასტურდება (მტკიცებულებები): სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარადგენს ბიუჯეტის გეგმას დასამტკიცებლად ყოველი წლის 10 დეკემბრამდე. ასევე, 10 დეკემბრამდე წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დირექტორის ანგარიში

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; ბავშვის ძირითადი უფლებები სკოლაში რეგულირდება „განათლების შესახებ„ კანონისა და „ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონით, ასევე იმ საკანონმდებლო აქტებით, სადაც გაწერილია ბავშთა უფლებები. ძირითადი შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა არის სკოლის შინაგანაწესი. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია სკოლის საზოგადოების საჭიროებები, ასევე იგი ითვალისწინებს სკოლის ინტერესებსა და მისიას , რომელშიც აღწერილია მოსწავლეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. სკოლის შინაგანაწესიდან გამომდინარე თითოეულ კლასში შემუშავებულია ქცევის წესები, სადაც გაწერილია მოსწავლეთა მოვალეობები, ასევე მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებები უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას სკოლის მართვის პროცესში. ამ პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლას ყავს მოქმედი თვითმმართველობა. თვითმმართველობის თავმჯდომარე ამავდროულად არის სამეურვეო საბჭოს წევრი. მოსწავლის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი.

მოსწავლეთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით, სკოლაში ჩატარდა რამდენიმე საინტერესო ღონისძიება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; დისციპლინური გადაცდომების შესახებ, ინფორმაცია შეტანილია შინაგანაწესში და შესაბამისად მოსწავლეები შინაგანაწესის გაცნობის დროს მას ეცნობიან დეტალურად. ასევე კლასის დამრიგებლების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ზეპირსიტყვიერად გასაჩივრების წესისა და პროცედურების შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებს დამტკიცებული დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებთან მართავს შეხვედრებს და აწვდის მათ ინფორმაციას დისციპლინალური გადაცდომების შესახებ. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვითა და გამჭირვალობის მიზნით თითოეული მოსწავლის მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთნ იდება ხელშეკრულება და ერთი ეგზემპლარი ეძლევა მშობელს ხელმოწერილი, რომელშიც საუბარია მოსწავლის უფლება-მოვალეობებზე და სკოლის პასუხისმგებლობებზე. სკოლას აქვს პრაქტიკა, რომ მოაწყოს შიდასასკოლო კონკურსები. კონკურსების შესახებ მონაწილეობის წესზე, გამარჯვებასა და სერტიფიკატებზე მონაწილეებს ეცნობებათ

ზეპირსიტყვიერად. რის გამოც ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა ვერ ხერხდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში შემოსული ყველა მოსწავლის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთნ აფორმებენ ხელშეკრულებას, აცნობენ მასში შემავალ ყველა პუნქტს: მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლის პასუხისმგებლობებს. ხელშეკრულება დადებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად და ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის, მოსწავლისა და მშობლის უფლებები და მოვალეობები, სასწავლო და დასვენების დრო, ხელეშეკრულების მოქმედების ვადა, შინაგანაწესის. გარდა გაფორმებული ხელშეკრულებებისა, სკოლას მოსწავლეთა კონფენდეციალურობის დაცვის თვალსაზრისით აქვს მშობელთან ნებართვის შესახებ მიმართვა, რათა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა ფოტოსურათები განთავსდეს სკოლის სოციალურ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით. დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
თუმცა, სკოლას არ აქვს შიდა დოკუმენტით გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი. მოსწავლის საფეხურის დაძლევის საკითხები კი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. რეგისტრაციის ვადების შესახებ მშობელთა ინფორმირება ხდება პირადად და/ან სატელეფონო საუბრებითაც. სასწავლო პროცესის დასაწყისში მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ როგორ და რა მექანიზმით ხდება საფეხურის დაძლევა.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული საკითხის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და ვადები.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს და დაამტკიცოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მარეგულირებელი დოკუმენტი ან შინაგანაწესში გაწეროს დეტალურად(20.11.2023)

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; სკოლა ჩამოთვლილ მექანიზმებს - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის

შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს კანონმდებლობის შესაბამისად იცავს. პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა მიმდინარეობს გამოცემული კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო პროექტებს მოსწავლეთა მხარდასაჭერად. განხორციელდა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა პროექტი. სკოლას აქვს მოქმედი ფეისბუკ-გვერდი, სადაც აქტიურად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში გამართული ღონისძიებების შესახებ. <u>სასურველია, სკოლამ ინფორმაცია გამოაკრას თვლასაჩინო ადგილას, ან გააზიაროს სკოლის ფეისბუქ-გვერდზე, არსებობის შემთხვავაში-სკოლის ვებ გვერდზეც.</u>

ინდიკატორი დაკამაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა სხვადასხვა პროცედურასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაზიარებისთვის მოსწავლის მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთან ძირითადად მშობელთა კრებებს იყენებდა. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ჩარიცხვა ამორიცხვის ბრძანებები
- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- e-school-ის ბაზა;
- სოციალური ქსელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. სკოლისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის უმტკივნეულო ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; სკოლას გააჩნია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის კლასებში მერხები განლაგებულია ასაკის შესაბამისად, სკოლა აღჭურვილია ყველა აუცილებელი ინვენტარით, აქვს ექიმის ოთახი. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საჭიროების შესაბამისად ავეჯის გადაადგილება. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს, რომ შიდა ინტერიერი მორგებული იყოს ფიზიკური მონაცემების მახასიათებლების მიმართ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; დღეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული შეფასებებიდან გამომდინარე ბუნებრივია, სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა საკუთარ შეფასებასთან; გარდა მოსწავლეებისა, ასევე აქვთ წვდომა მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლისთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოსწავლეს გაუწიოს არსებული საჭიროებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული მხარდაჭერა. სკოლა ასევე დროულად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს სხვადასხვა ოლიმპიადების, ღონისძიებების თარიღის შესახებ, რათა დროულად შეძლონ ჩართვა ამ პროცესებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; გარდა ფორმალური განათლებისა სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენს არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. სკოლა მოსწავლეთა მცირე კონტიგენტიდან გამომდინარე, ახორციელებს ინდივიდუალურ კომუნიკაციას. სკოლა მონაწილეობდა არაფორმალურ აქტივობებში. მშობლებმა და მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა დასუფთავების აქციაში, დარგეს ხეები და

გაამწვანეს მიმდებარე ტერიტორია. სასურველია, სკოლამ წაახალისოს მოსწავლეები მადლობის სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით და ა.შ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები): სკოლა მცირეკონტიგენტიანია, შესაბამისად უკუკავშირს იღებენ მშობლებიდან ინდივიდუალურად, შეხვედრებით, მშობელთა კრებიდან და სატელოფონო საუბრებით. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კითხვარი, რომლის მიხედვითაც სასკოლო საზოგადოება შეაფასებს სასწავლო პროცესს და ადმინისტრაცია გაითვალისწინებს მიღებულ შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- პროექტის ამსახველი მასალა
- აქტივობების ამსახველი მასალა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სკოლა არის საბაზო, არ აქვს საშუალო საფეხური. მასწავლებლები მოსწავლეებს ესაუბრებიან პროფესიების შესახებ, ცდილობენ, მისცენ ორეინტაცია სამომავლოდ. სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყონ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მოწვიონ სკოლაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანი მათივე რაიონიდან, რომელიც უპასუხებს მოსწავლეების კითხვებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა ზეპირსიტყვიერად ინფორმაციას გადასცემს მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიის შესახებ
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.
პირველადი ავტორიზაციისას ინდიკატორი ვერ ფასდება. სკოლას მიეცა რჩევა, შედაგინოს კითხვარი, რომლის მიხედვითაც შეაფასებს გაწეული მომსახურების ხარისხს, დაინახავს ძლიერ და გამოსასწორებელ მხარეებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს გაწერილი ის პროცედურები, რომელსაც სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებისათვის - მულტიდისციპლინური გუნდისათვის მიმართვისათვის ისგ-ს ჯგუფების შექმნისა და საქმიანობისათვის. ახალი სკოლის შენობა ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეებზე, სკოლას გააჩნია ყველა პირობა რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. სკოლას აქვს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამ ეტაპისთვის არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს ისგ ჯგუფის შესახებ ჩანაწერი და ჯგუფის წევრების ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო გეგმაშივე გაწერილია შინ სწავლების საკითხი და სსსმ მოსწავლის შეფასების წესიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლას არ აქვს მსგავსი სერვისი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლას არ აქვს დამატებითი სერვისი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ღონისძიებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

დანართი №2

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბა]მება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კერძოდ, რა მექანიზმებით, საშუალებებით იგებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, თემის ინტერესებს - თანამშრომლობით, კითხვარებით, სოციალური ქსელით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის არსებობას, რაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების შეთანხმებულ მუშაობას. მასწავლებლები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმს, გეგმავენ კომპლექსურ დავალებებს, მუშაობენ სასკოლო-სასწავლო გეგმაზე. მეთოდოლოგიის შესაბამისად კურიკულუმის დასანერგად მასწავლებლები გაკვეთილებს წარმართავენ საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესები ხორციელდება მატრიცებში გაწერილი აქტივობების გამოყენებით, ასევე მათ მიერ ხდება დაკვირვება, ჩანაწერების დღიურისა და თვითშეფასების წარმოება, როგორც გაკვეთილების შემდეგ, ასევე, თემის დამთავრებისას. მასწავლებელი გარდა იმისა, რომ ატარებს გაკვეთილებს, აღწერს, თუ როგორ უზიარებს ინფორმაციას კოლეგებსა და მშობლებს მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ასევე, სასწავლო თემაზე მუშაობასას მოსწავლეების მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და კომპლექსური დავალებების ბარათების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები , მაგალითად, დაწყებით საფეხურზე განსახორციელებელ აქტივობებში აშკარაა საგანთშორისი ინტეგრირება და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები და მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად და მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, კოლეგებთან შეხვედრის რეფლექსიებში ჩანს, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებიან ერთმანეთს და ერთობლივად ადგენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს და მოსწავლეთა ინტერესებს ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დამრიგებლების დახმარებით მშობლები ჩართული არიან კურიკულუმის შემუშავებაში, სწავლის დაწყებისთანავე იმართება მშობლებთან შეხვედრები და განიხილავენ სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმის გაზიარება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დადასტურებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, მშობელთათვის განკუთვნილი ბარათებით. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს, რომ ურთიერთობენ მშობლებთან დახურულ ჯგუფებში, უგზავნიან დავალებებს, ღონისძიებების გეგმებს და აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმის შესახებ. თვითშეფასებაშიც აღნიშნულია, რომ მშობლებს ინფორმაციას დამრიგებლები აწვდიან კრებებზე, განიხილავენ პედაგოგიურ სხდომებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- მშობლის ბარათის ნიმუშები;
- ინტერვიუს შედეგები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი წარმოდგენილია მესამე თობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სადაც ჩანს თემა, სამიზნე ცნებები და საკითხები, თუმცა, ყველა კლასში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. პედაგოგებმა ეს ახსნეს იმ ფაქტით რომ არ ჩატარებიათ ამ იმართულებით ტრენინგები და თავი შეიკავეს ამ ეტაპზე კომპლექსური დავალებისგან, მაგრამ ზოგიერთი თემის გასწვრივ მითითებულია კომპლექსური დავალების იდეა, რაც იმას გულისხმობს რომ სკოლა მომავალი წლიდან უკვე დაიწყებს მის განხორციელებას. კურიკულუმში ასევე მითითებულია ის რესურსები რომელიც კომპლექსურ დავალებაზე მუშობისას მიეწოდება მოსწავლეებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თითოეული კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს აფასებენ განმავითრებელი კომენტარით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებით საფეხურის კურიკულუმი შედგენილია მესამე თობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ყველა თემა, საკითხი, სამიზნე ცნება, ორიენტირებულია გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, კურიკულუმში თითოეული სამიზნე ცნების ქვევით მოცემულია ქვეცნებები და ცალკე საკითხები. აქედან გამომდინარე კურიკულუმი ნამდვილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც დაფიქსირდა, რომ ზოგიერთ მათგანს გააზრებული აქვს, თუ რა კავშირშია კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები და კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ მიზნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნამდვილად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას. ინტერვიუს დროს ასევე პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ხშირად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეებთან, სხვადასხვა მზაობის მიხედვით არჩევენ დავალებებს, სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები არაა შექმნილი თანამედროვე მოთხოვნებით. სკოლას უტარდებოდა შეხვედრები საგნობრივ ექსპერტებთან, სადაც განიხილავდნენ როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითრებელი შეფასების რუბრიკებს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მომავალში შეიმუშავებენ რუბრიკებს და გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები შეფასების რუბრიკებს ეცნობიან მხოლოდ შეფასების მომენტისთვის და მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ წინასწარ განათავსონ შეფასების რუბრიკა

თვალსაჩინო ადგილზე საკლასო ოთახში, რათა მოსწავლემ შეძლოს ორიენტირება შეფასების კრიტერიუმებზე დავალების შესრულების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. აღსანიშნავია, რომ სკოლა არ იყო ჩართული ზოგადი განათლების რეფორმაში და შესაბამისად, 2022-2023 წლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ გეგმებში არ ჰქონდათ გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, თუმცა თვითშეფასების დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლა ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას. ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ადგენენ ახალ კურიკულუმებს. მათ ახალ, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი აქვთ რიგი საკითხები (სავალდებულო თემები), მათ შორის, კომპლექსური დავალებებიც.
როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მასწავლებლები აპირებენ მეტი ინფორმაცია მიიღონ ამ მიმართულებით და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, შეავსონ/შეიტანონ ცვლილებები წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ეს დასტურდება იმით, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები და ჩანს მზაობა მათი დახვეწისა. კომპლექსური დავალება საშუალებას აძლევს მოსწავლეს იფიქროს, იმსჯელოს, გადაჭრას პრობლემები. გარდა ამისა, სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია სხვადასხვა პროექტების/აქტივობების განხორციელების შესახებ და ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სხვადასხვა საინტერესო აქტივობების/ღონისძიებების განხორციელებისა, სადაც ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში აქტიური ჩართულობა. ისინი მიმდინარე სასწავლო წელსაც გეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. განსაკუთრებულად დაწყებით საფეხურზე პოპულარულია შემდეგი აქტივობები: შემოდგომის ზეიმი, საახალწლო ღონისძიება, ანბანის მობრძანება/გაცილება და ასე შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ამგვარ ღონისძიებებში ჩართულია თითქმის ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი, რაც ადასტურებს, რომ მასწავლებლებისთვის მნიშნელოვანია მოსწავლეთა მრავალმხრივი ჩართულობა შემოქმედებით პროცესებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, ხოლო თემატური დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მასწავლებლებს კომპლექსური დავალებები იმგვარად აქვთ დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. აქვთ მზაობა, კვლავ იმუშაონ ამ მიმართულებით და მუშაობის პროცესში მეტად დახვეწონ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, რათა ცოდნის კონსტრუირება მოხდეს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით და სწავლა-სწავლების პროცესი მეტად შედეგიანი გახდეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხდება მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი და აქედან გამომდინარე მათთვის უკუკავშირის გაცემა, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს მათი ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვაში და საკუთარი

სწავლის პროცესის დაკვირვება/დაგეგმვაში. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სხვა მიმდინარე აქტივობების დროსაც წაახალისონ მოსწავლის ფიქრი სწავლის სწავლაზე/მეტაკოგნიციაზე. ასევე, აღინიშნავენ, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს ამაში ეხმარება მასწავლებლების მიერ გაცემული ზეპირი განმავითარებელი შეფასებები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ცდილობენ მათი მიცემული რეკომენდაციები მეტად კონკრეტული იყოს, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს საკუთარი შემეცნების დაგეგმვაში. გაკვეითლზე იყენებენ ასევე მოსწავლეთა ურთიერთშეფასებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების რესურსები, აქტივობები უადვილებს მოსწავლეს ინფორმაციის დამუშავებავებას და დამახსოვრებას. სწავლების პროცესში მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა ტიპის გრაფიკულ მაორგანიზებლებს და სქემებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს. მოსწავლე საკითხის ირგვლივ შეძენილი თეორიულ ცოდნის შესაბამისი აქტივობებით/დავალებებით გარდაქმნის პროცედრულ და პირობისეულ ცოდნად, ქმნის პროდუქტს. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებს ეძლევათ უკუკავშირი, რჩევები.

კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5.დაწყებითი საფეხურის საგნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდას, ნაცნობი კონტექსტები წარმოაჩენს ცხოვრებისეულ სიტუაციებს, პრობლემებს , რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეს სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიყავს. კურიკულუმებში, საკითხთა კლასტერში შემავალი საკითხები ურთიერთდაკავშირებულად მუშავდება: დავალებები იმგვარად არის შედგენილი, რომ მოსწავლემ მოახდინოს გაკვეთილზე მიღებულ ცოდნათა ორგანიზება, ცალ-ცალკე განხილული საკითხების გაერთიანება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეები ეტაპობრივად იძენენ ახალ ცოდნას, რომლის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სწავლა-სწავლების პროცესში ხდება მიღებული ინფორმაციის დამუშავება და გარდაქმნა ცოდნად. შედეგად, მოსწავლეები შეძლებენ ინფორმაციის მიღებას და მის საჭიროებისამებრ გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან
- უკუკავშირის დოკუმენტი
- სასკოლო-სასწავლო გეგმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას,თემებს და საგნობრივ საკითხებს შორის. შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები შეეხნენ გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას არ აქვს გამოცდილება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის, მაგრამ სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში, წარმოდგენილია საგნობრივი ორიენტირები, თემები, კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებანი, საჭიროებები და შესაძლებლობები. საგნობრივი საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი არც ძალიან იოლია და არც ძალიან რთულია მოსწავლისთვის. კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების ანალიზი, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვა- წარმართვის დროს. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია ტექსტური, ასევე ვიზუალური მასალები, მოდელები, დიაგრამები, ცხრილები, სქემები, ვიდეო რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწვალეებში მოტივაციის გაზრდას, მათი ფიზიკური, შემეცნებითი და სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. სკოლას სასკოლო ლაბორატორია არა აქვს, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლის მზაობა სასკოლო ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსების შეძენის, მანამდე მასწავლებლები საკლასო სივრცეში ჩასატარებელ სადემონსტრაციო ცდებს ჩაანაცვლებენ ვირტუალური ლაბორატორიის რესურსით. მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა რომ საგაკვეთილო პროცესში ის ითვალისწინებს მოსწავლის ფსიქო-ემოციურ განწყობას და მიმართავს გარკვეულ აქტივობებს მოსწავლის ჩასართავად საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ, კურკულუმის ჩარჩოში სხვადასხვა მიმართულებით არის კომლექსური ბუნების დავალებების იდეები, მათ შორის სამიზნე ცნება ციფრული მოქალაქეობის ფარგლებში, რაც გვაძლევს ისმის დასკვნის საშუალებას, რომ მასწავლებელი იაზრებს და საგნობრივი კონტექსტი ნაწილობრივ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ჰოლისტურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი კათედრებთან ერთად ჩართულია შეფასების სისტემის შექმნაში და მის მონიტორინგში. ხდება მოსწავლეთა შეფასების ანალიზი. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. პირველადი ავტორიზაციის დროს ინდიკატორი ვერ ფასდება
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის მისია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და და მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა,რომ დაწყებით საფეხურზე კათედრები ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით, საათების განაწილებისას ითვალისწინებს საათობრივ ბადეს, შეფასების წესი ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერასა და პიროვნულ განვითარებაზე-ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოსწავლეებს ხშირად აძლევენ უკუკავშირს, რაც მოსწავლეს ხდის მოტივირებულს, რადგან ხდება მისი მიღწევის აღიარება და ამავდროულად უკუკავშირი ეხმარება სუსტი მხარეების დაძლევაში. შემუშავებულია მექანიზმი, რათა სამომავლოდთუ ეყოლებათ სსსმ მოსწავლე შეუქმნან სკოლაში შესაბამისი პირობები. შექმნილია თანამშრომლობითი გარემო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სასწავლო პროცესში მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ მიერ შექმნილი კურიკულუმებში ისეა შერჩეული თემები, საკითხები და პროდუქტები რომ, შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და ეფუძნება თითოეული მასწავლებლის მიერ

შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიას, პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. რჩევა - პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების მიხედვით შეადგინონ და დახვეწონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა,რომ სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. გაირკვა, რომ რამდენიმე კათედრა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მასწავლებლით. მაგ. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, ერთი პედაგოგი მუშაობს რამდენიმე საგნის მიმართულებით, მიუხედავად ამისა ასეთ შემთხვევაში სხვადსხვა კათედრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა უსაფრთხოება, სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. სასკოლო საზოგადოება ზრუნავს ჯანსაღი სასკოლო კლიმატის შენარჩუნებაზე, თანამშროლებს შორის, მშობლებსა და პედაგოგებს შორის კეთილგანწყობილი და მეგობრული ატმოსფეროს ჩამოყალიბებაზე. ამ მიმართულებით მუშაობის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს აქტივობები არაფორმალური განათლების კუთხით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ იყვნენ პოზიტიურები და მოსწავლეებს ჯერ დაანახონ დადებითი მხარეები და შემდეგ უთხრან გამოსასწორებელი ასპექტები. ასევე, ცდილობენ კოლეგებთანაც ჰქონდეთ პოზიტიური დამოკიდებულება და არსებული პრობლემები დაძლიონ კონსტრუქციულად. მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე იყოს დაფასებული, აღიარებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის მისია
- უკუკავშირის დოკუმენტი

- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც ასევე წარმოდგენილია ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლა აღნიშნავს, რომ რადგანაც წინა წლებში ინტენსიურად არ ახორციელებდა სწავლებას შუალედური მიზნებით, ამიტომ კურიკულუმის შეფასება არ განხორციელებულა წინა წლებში, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას და მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და დაეფუძნება თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სკოლამ 2023 წელს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შეფასების და მონიტორინგის პროცესი იძლევა შესაძლებლობას გამოკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განსაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლა გეგმავს შიდა სასკოლო სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შედარებას კათედრის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს , რომ ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები., შემდეგ კი დაგეგმოს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები/ინტერვენციები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაძრვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკის მექანიზმები
- კურიკულუმის განვითარების და შეფასების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები. სკოლაში მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შეფასებების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთის მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და, მეორეს მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. რადგან მოსწავლეები ეტაპობრივად იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა წინსვლაზე, გამოკვეთს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც დაეხმარებათ უკეთ მოახდინონ მოსწავლეთა შედეგების შეფასება და პროგრესის გაზომვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები და პედაგოგების გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია იძლევა შესაძლებლობას, რომ დავასკვნათ შმდეგი: სკოლას გააზრებული აქვს თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; რამდენადაა პრაქტიკის ამ შეფასების ძირითადი მიზანი, ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლას და განვითარებას. სკოლის პრაქტიკაა, რომ განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესში, მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ დაადგინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება მკაფიოთ ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს გამოცდილება (თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე), მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. დაწყებით საფეხურზე არის ამის მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგმა, გამოთქვა მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად, 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ნარატივიდან, იკვეთება, რომ შეფასებისას ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც, მოხდეს ორივე ტიპის შეფასებაში იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომელის დროსაც მასწავლებელი ეყრდნობა მოსწავლეთა საერთო განვითარების დონეს და შედეგების შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით სკოლას, როგორც ჩანს აქვს შესაბამისი გამოცდილება. ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს დაწყებითი საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. მათ გამოთქვეს მზაობა ამ პროცესისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას, ამის შედეგად 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურუკულუმები გადამუშავებულია და სრულ შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის მუშაობის რეფლექსია
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი
- პედსაბჭოს ოქმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის კურიკულუმი**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კერძოდ, რა მექანიზმებით, საშუალებებით იგებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, თემის ინტერესებს - თანამშრომლობით, კითხვარებით, სოციალური ქსელით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის არსებობას, რაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების შეთანხმებულ მუშაობას. მასწავლებლები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმს, გეგმავენ კომპლექსურ დავალებებს, მუშაობენ სასკოლო-სასწავლო გეგმაზე. მეთოდოლოგიის შესაბამისად, კურიკულუმის დასანერგად, მასწავლებლები გაკვეთილებს წარმართავენ საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესები ხორციელდება მატრიცებში გაწერილი აქტივობების გამოყენებით, ასევე მათ მიერ ხდება დაკვირვება, ჩანაწერების დღიურისა და თვითშეფასების წარმოება, როგორც გაკვეთილების შემდეგ, ასევე, თემის დამთავრებისას. მასწავლებლები გარდა გაკვეთილების ჩატარებისა,
კოლეგებსა და მშობლებს უზიარებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ასევე, სასწავლო თემაზე მუშაობისას მოსწავლეების მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და კომპლექსური დავალებების ბარათების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მაგალითად, საბაზო საფეხურზე განსახორციელებელ აქტივობებში აშკარაა საგანთაშორისი ინტეგრირება და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები და მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად და მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, კოლეგებთან შეხვედრის რეფლექსიებში ჩანს, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებოდნენ ერთმანეთს და ერთობლივად შეიმუშავეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებული აქტივობები. ასევე, ჩანს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დამრიგებლების დახმარებით მშობლები ჩართული არიან კურიკულუმის შემუშავებაში, სწავლის დაწყებისთანავე გაიმართა მშობლებთან შეხვედრები და განიხილეს სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები: მშობელთათვის განკუთვნილი ბარათები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს,როგორ ურთიერთობენ მშობლებთან ჯგუფებში, უგზავნიან დავალებებს, ღონისძიებების გეგმებს და აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმის შესახებ. თვითშეფასებაშიც აღნიშნულია, რომ შესაბამის ინფორმაციას საზოგადოების წევრებს დამრიგებლები აწვდიდნენ მშობელთა კრებებზე, განიხილავდნენ პედაგოგიურ სხდომებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მშობლის ბარათები;
- ინტერვიუს შედეგები;

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილია მესამე თობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სადაც ჩანს თემა, სამიზნე ცნებები და საკითხები. თუმცა არაა ყველა კლასში სრულყოფილად წარმოდგენილი . ზოგიერ კლასში კომპლექსური დავალებები არაა, პედაგოგებმა ეს ახსნეს იმ ფაქტით, რომ არ ჩატარებიათ ამ იმართულებით ტრენინგები და თავი შეიკავეს ამ ეტაპზე კომპლექსური დავალებისგან, მაგრამ ზოგიერთი თემის გასწვრივ მითითებულია კომპლექსური დავალების იდეა, რაც იმას გულისხმობს რომ სკოლა მომავალი წლიდან უკვე დაიწყებს მის განხორციელებას. კურიკულუმში ასევე მითითებულია ის რესურსები რომელიც კომპლექსურ დავალებაზე მუშობისას მიეწოდება მოსწავლეებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თითოეული კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს შეაფასებენ განმავითრებელი კომენტარით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. VII-IX კლასის ჩათვლ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი შედგენილია ახალი სტილით, მესამე თობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ყველა თემა, საკითხი, სამიზნე ცნება და ა.შ. კურიკულუმში თითოეული სამიზნე ცნების ქვევით მოცემულია ქვეცნებები და ცალკე საკითხები. აქედან გამომდინარე, კურიკულუმი ნამდვილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროსაც ჩანდა, რომ ზოგიერთ მათგანს გააზრებული აქვს თუ რა კავშირშია კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები და კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ მიზნებთნ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნამდვილად არის გამოყენებული დიფერენცირებული მიდგომა, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა. ინტერვიუს დროს ასევე მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ხშირად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეებთან, სხვადასხვა მზაობის მიხედვით არჩევენ დავალებებს, სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლებს უტარდებოდა შეხვედრები საგნობრივ ექსპერტებთან სადაც განიხილავდნენ როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითრებელი შეფასების რუბრიკებს. კათედრის დონეზე

არსებობს სკოლაში შეფასების რუბრიკები, თუმცა ისინი არ არის ახალი სტილით შექმნილი. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ქოუჩებთან შეხვედრების შედეგად მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალში იმუშვებენ მესამე თაობის ეროვნიული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, შქმნიან შეფასების რუბრიკებს და გამოიყენებენ სასწავლო პროცესში.

5. აღსანიშნავია, რომ სკოლა არ იყო ჩართული ზოგადი განათლების რეფორმაში და შესაბამისად, 2022-2023 წლის საგნობრივ გეგმებში არ ჰქონდათ გათვალისწინებული კომპლექსური გაკვეთილები, თუმცა ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ ახალი ჩარჩოების გაწერამდე გააანალიზეს, რომელი კომპლექსური დავალებები იქნებოდა მეტად შედეგიანი, რომელი უფრო მეტ ინტერესსა და მოტივაციას გამოიწვევდა მოსწავლეებში. თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე, სკოლა ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს . ამ ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ადგენენ ახალ კურიკულუმებს. ახალ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი აქვთ რიგი საკითხები (სავალდებულო თემები), მათ შორის, კომპლექსური დავალებებიც და აპირებენ, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, შეავსონ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები სხვა კომპლექსური დავალებებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ეს დასტურდება იმით, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები და ჩანს მზაობა მათი დახვეწისა. კომპლექსური დავალება საშუალებას აძლევს მოსწავლეს იფიქროს, იმსჯელოს, გადაჭრას პრობლემები. ასევე, კათედრის წარმოდგენლებმა ინტერვიუზე ისაუბრეს სხვადასხვა აქტივობებზე/ღონისძიებებზე, სადაც ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში აქტიური ჩართულობა. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია ერთ-ერთი საინტერესო პროექტის შესახებ, რის შესახებაც მასწავლებლებმა ინტერვიუზეც ისაუბრეს. პროექტი შეეხება ქართულ ფოლკლორსა და მის პოპულარიზაციას. აღსანიშნავია, რომ პროექტი ინტეგრირებულად წარიმართა სხვადასხვა საგნებში (მუსიკა, ხელოვნება, გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია), რაც ადასტურებს, რომ მასწავლებლებისთვის მნიშნელოვანია მოსწავლეთა მრავალმხრივი ჩართულობა შემოქმედებით პროცესებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, ხოლო თემატური დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მასწავლებლებს კომპლექსური დავალებები იმგვარად აქვთ დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. აქვთ მზაობა, კვლავ იმუშაონ ამ მიმართულებით და მუშაობის პროცესში მეტად დახვეწონ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური

დავალებები, რათა ცოდნის კონსტრუირება მოხდეს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით და სწავლა-სწავლების პროცესი მეტად შედეგიანი გახდეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხდება მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სხვა მიმდინარე აქტივობების დროსაც წაახალისონ მოსწავლის ფიქრი სწავლის სწავლაზე/მეტაკოგნიციაზე. ასევე, აღინიშნავენ, რომ წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და საკუთარი შემეცნების დაგეგმვა, მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. აპირებენ მოსწავლეებს შესთავაზონ, რომ ხშირად გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების რესურსები, აქტივობები უადვილებს მოსწავლეს ინფორმაციის დამუშავებავებას და დამახსოვრებას. სწავლების პროცესში მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებს. მოსწავლე საკითხის ირგვლივ შეძენილი თეორიულ ცოდნას შესაბამისი აქტივობებით/დავალებებით გარდაქმნის პროცედრულ და პირობისეულ ცოდნად, ქმნის პროდუქტს. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებს ეძლევათ უკუკავშირი, რჩევები. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ახერხებენ თეორიულ ცოდნის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აფერხებს **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. საბაზო საფეხურის საგნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდას, ნაცნობი კონტექსტები წარმოაჩენს ცხოვრებისეულ სიტუაციებს, პრობლემებს, რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეს სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიყავს. კურიკულუმებში, საკითხთა კლასტერში შემავალი საკითხები ურთიერთდაკავშირებულად მუშავდება: დავალებები იმგვარად არის შედგენილი, რომ მოსწავლემ მოახდინოს გაკვეთილზე მიღებულ ცოდნათა ორგანიზება, ცალ-ცალკე განხილული საკითხების გაერთიანება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეები ეტაპობრივად იძენენ ახალ ცოდნას, რომლის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სწავლა-სწავლების პროცესში ხდება მიღებული ინფორმაციის დამუშავება და გარდაქმნა ცოდნად. შედეგად, მოსწავლეები შეძლებენ ინფორმაციის მიღებას და მის საჭიროებისამებრ გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- უკუკავშირის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებს და საგნობრივ საკითხებს შორის. შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები შეეხნენ გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას არა აქვს გამოცდილება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის, მაგრამ სკოლას აქვს მზაობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებანი, საჭიროებები და შესაძლებლობები. საგნობრივი საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი არც ძალიან იოლია და არც ძალიან რთულია მოსწავლისთვის. კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების ანალიზი, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვის დროს. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია ტექსტური, ასევე ვიზუალური მასალები, მოდელები, დიაგრამები, ცხრილები, სქემები, ვიდეო რესურსები, რაც ხელს უწყობს მოსწვალეებში მოტივაციის გაზრდას, მათი ფიზიკური, შემეცნებითი და სოციო-ემოციური სფეროს განვითარებას. სკოლას არ აქვს სასკოლო ლაბორატორია, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლის მზაობა, რომ შეიძინონ სასკოლო ლაბორატორიისთვის საჭირო რესურსები, მანამდე მასწავლებლები საკლასო სივრცეში ჩასატარებელ სადემონსტრაციო ცდებს ანაცვლებენ ვირტუალური ლაბორატორიის რესურსით. სკოლას აქვს შესაბამისი ტექნოლოგიური ბაზა კომპიუტერესბისა და პროექტორების სახით, აგრეთვე სკოლა უზრუნველყოფილია გამართული ინტერნეტით, რაც ხელს უწყობს ელექტრონული რესურსების გამოყენებას. მასწავლებლების მიერ გადმოგზავნილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ბმულები, სადაც ლაბორატორიული ცდებია აღწერილი. მასწავლებელები გამოიყენებენ ამგვარ ელექტრონულ რესურსს კომპლექსური დავალებების განხორციელებისას და საგაკვეთილო პროცესის დროს. მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში ის ითვალისწინებს მოსწავლის ფსიქო-ემოციურ განწყობას და მიმართავს გარკვეულ აქტივობებს მოსწავლის ჩასართავად საგაკვეთილო პროცესში. სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყონ ლაბორატორიისთვის საჭირო მასალებითა და ინვენტარით აღჭურვა და გამრავალფეროვნება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ, კურკულუმის ჩარჩოში სხვადასხვა მიმართულებით არის კომლექსური ბუნების დავალებების იდეები, მათ შორის სამიზნე ცნებები, რაც გვაძლევს ისმის დასკვნის საშუალებას, რომ მასწავლებელი იაზრებს და საგნობრივი კონტექსტი ნაწილობრივ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ჰოლისტურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი კათედრებთან ერთად ჩართულია შეფასების სისტემის შექმნაში და მის მონიტორინგში. ხდება მოსწავლეთა შეფასების ანალიზი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აღრიცხავს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეგროვებული დოკუმენტაცია გადაეცემა ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით, რადგან სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას, ეს მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა გრძელვადიანი პერსპექტივით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის მისია
- უკუკავშირის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე, კათედრებზე თითქმის ყველა თემისთვის არის გათვალისწინებული კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია სასკოლო პროექტები, მაგ. სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ყოველ წელს ახორციელებს პროექტს - ჩემი და ჩემი მეგობრის უფლებები, რაც თავის მხრივ კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესების დასადგენად და დასაკმაყოფილებლად.
რჩევა-პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი არაფორმალური განათლების ტიპის აქტივობის გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

.2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაშ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული

არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განივითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები და ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. ამისთვის სისტემატიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას წერილობით და მეტად ზეპირი ფორმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებიდან კარგად ჩანს ძლიერი თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. მაგ, მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, რაც ჩანს სკოლაში განხორციელებული პროექტებით, რომლებზეც საუბრობდნენ მასწავლებლები ინტერვიუს დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სასკოლო სასწავლო გეგმაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ათედრები თანამშორმლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის მისია
- უკუკავშირის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში** ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც ასევე წარმოდგენილია ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლა აღნიშნავს, რომ რადგანაც წინა წლებში ინტენსიურად არ ახორციელებდა სწავლებას შუალედური მიზნებით, ამიტომ კურიკულუმის შეფასება არ გაუკეთებია წინა წლებში, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას და მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად და დაეფუძნება თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სკოლამ 2023 წელს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე, სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შფასებისა და მონიტორინგის პროცესის საფუძველზე შესაძლებელია სკოლის საჭიროებების გამოკვეთა, რათა სწორად განისაზღვროს შემდგომი ნაბიჯები წინსვლისა და განვითარებისთვის, რაც იქნება არსებული პრობლემების გადაჭრის გზა/საშუალება.

სკოლა გეგმავს შიდა სასკოლო სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შედარებას კათედრის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს, რომ ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები, შმდეგ კი დაგეგმოს გამოვლენილი პრობვლემების გადაჭრის გზები/ინტერვენციები. შიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი პროცესები, მონიტორინგის და შეფასების სახით, იქნება სკოლის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზა/შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკის მექანიზმები
- კურიკულუმის განვითარების და შეფასების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები. სკოლაში მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შეფასებების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთის

მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და, მეორეს მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. რადგან მოსწავლეები ეტაპობრივად იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა წინსვლაზე, გამოკვეთს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც დაეხმარებათ უკეთ მოახდინონ მოსწავლეთა შედეგების შეფასება და პროგრესის გაზომვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები და პედაგოგების გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია იძლევა შესაძლებლობას, რომ დავასკვნათ შემდეგი: სკოლას გააზრებული აქვს თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემები; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; რამდენადაა პრაქტიკის ასეთი შეფასების ძირითადი მიზანი, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლას და განვითარებას. სკოლის პრაქტიკაა, რომ განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესში, მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ დაადგინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება მკაფიოთ ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე, სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. საბაზო საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგმა , გამოთქვა მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებების გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ნარატივიდან, იკვეთება, რომ შეფასებისას ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც მოხდეს ორივე ტიპის შეფასებაში იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომელის დროსაც მასწავლებელი ეყრდნობა მოსწავლეთა საერთო განვითარების დონეს და შედეგის შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი კომპლექსური ბარათი

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით სკოლას, როგორც ჩანს აქვს შესაბამისი გამოცდილება. ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. მათ გამოთქვეს მზაობა ამ პროცესისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას, ამის შედეგად 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები გადამუშავებულია და სრულ შესაბამისობაშია ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი კათედრის მუშაობის რეფლექსია
- დანართი კათედრის შემაჯამებელი ოქმი
- დანართი პედსაბჭოს ოქმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მირანდა იაკობიძე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნინო გოგსაძე:

ხათუნა გეგეშიძე 

მზია კიპაროიძე 

მარიამ კუჭუხიძე

ქეთევან პარუნაშვილი

მეგი კაპანაძე

მაია მენაბდე

ირაკლი ქობალია 

ქეთევან ბორაშვილი

ნინო მახარაშვილი

თანდართული დოკუმენტაცია:

თარიღი: 20.11.2023